08.08.2013 **თბილისის საქალაქო სასამართლო** № 38

№3-0417/286614 05.08.2013 წელი

ბატონ სერგი კაპანაძეს

საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორს
თბილისი, რაზმაძის ქ.№15

ბატონო სერგი,

2013 წლის 2 აგვისტოს თქვენ განცხადებით (რეგ.№286614) მომართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვეთ საჯარო ინფორმაციის მოწოდება - კერძოდ, 2010 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში რამდენი საქმის განხილვა მოხდა სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რამდენი გამამართლებელი განაჩენი იქნა გამოტანილი და რამდენი გადაწყვეტილება იქნა დაკმაყოფილებული.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2010 წელს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში განხილულ იქნა 6858 სარჩელი, მათგან დაკმაყოფილდა 3350 სარჩელი, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განხილულ იქნა 13256 სარჩელი, მათგან დაკმაყოფილდა 6549 სარჩელი, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში განხილულ იქნა 7945 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 6738 საქმეზე, ხოლო არსებითი განხილვით განხილულ იქნა 1114 საქმე, მათგან გამამართლებელი განაჩენი დადგა 3 პირის მიმართ და ნაწილობრივ გამამართლებელი 19 პირის მიმართ.

პატივისცემით,

ავთანდილ წამალაშვილი

სასამართლოს თავმჯდომარის
ბიუროს უფროსი კონსულტანტი

საქართველო, ქ. თბილისი 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი, ხიი კილომეტრი; ტელეფონი/ფაქსი: (+995 32) 54-10-55; 54-10-56;
Georgia, Tbilisi 0131, David Aghmashenebeli Ave. XII km. Tel/Fax: (+995 32) 54-10-55; 54-10-56;
www.tcc.gov.ge